საჯარო სივრცის ტრანსფორმაცია: ქალაქ თბილისის მაგალითი 2003 წლიდან დღემდე

სალომე დანელია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრატურის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო ზვიადაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021 წელი

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე დანელია

25.01.2021

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ქალაქ თბილისის საჯარო სივრცეების პრობლემატიკის კვლევას 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ. აღნიშნული საკითხი ნაშრომში გაანალიზებულია ურბანული სოციოლოგიის ორი ძირითადი პარადიგმის, პოლიტეკონომიური და სოციო-სივრცითი თეორიული მიდგომის სინთეზის საფუძველზე. კვლევაში გამოყენებულია სხვადასხვა თვისებრივი მეთოდი, კერძოდ, შემთხვევის ანალიზი, სამაგიდო კვლევა და ექსპერტული ინტერვიუები. კვლევის მიზანია დაადგინოს, 2003 წლიდან საქართველოში დაწყებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გავლენა საჯარო სივრცეებზე, ის ძირითადი ფაქტორები, რამაც ხელი შეუწყო ქალაქ თბილისში საჯარო სივრცეების ტრანსფორმაციას, აღმოაჩინოს მისი პოლიტეკონომია და სივრცული დიალექტიკა და იმსჯელოს საჯარო სივრცეში რეპრეზენტაციისა და დომინაციის საკითხებზე. კვლევის შედეგები მიუთითებს საჯარო სივრცის მრავალხმრივ გარდაქმნებზე, როგორიცაა მისი შევიწროვება პრივატიზაციისა და კომერციალიზაციის გზით და უთანასწორობის გეოგრაფიაზე, რაც ძალაუფლებრივ გადანაწილებასა და კლასობრივ დისკურსში გამოიხატება.

Abstract

This thesis explores the key challenges related to the public spaces in Tbilisi, particulary, after the 2003 Rose Revolution. The study is based on the synthesis of two main paradigms of urban sociology, specifically, political-economy and socio-spatial theoretical approaches. The paper relies on qualitative methodology and develops the empirical analysis through case studies, desk research and expert interviews. The goal of the research is to determine the implications of the political and economic reforms undergoing in Georgia after 2003 on public spaces, identify the key factors contributing to the transformation of public spaces in Tbilisi, detect its politeconomy and spatial dialectic, and discuss issues of representation and domination in public space. The results of the study indicate the multidimensional transformations of public space, such as the tendency of shrinking public spaces through privatization and commercialization practices, and the geography of inequality, which is reflected in power dynamics and class discourse.

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ სოფიო ზვიადაძეს, კვლევის პროცესში აქტიური დახმარებისა და სუპერვიზიისთვის. ასევე, კვლევაში მონაწილე თითოეულ ექსპერტს, რომლებმაც ღირებული კონტრიბუცია შეიტანეს აღნიშნული კვლევის ემპირიული ანალიზისას. აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობის პროცესში, მუდმივი ძალისხმევისა და ემოციური მხარდაჭერისთვის, მადლობას ვუხდი ჩემს დას, ეკატერინე დანელიას.